საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“.

# მიგრანტი

№4 / 2015

# ქედელი ეკომიგრანტები განვითარების შესაძლებლობებზე

**ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ ქედის მუნიციპალიტეტის სოციალურ სახლებში მცხოვრებ მიგრანტებს პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში ახალი პროფესიის დაუფლებას, კვალიფიკაციის ამაღლებას და ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად ბიზნესიდეის დაფინანსებას სთავაზობს.**



პროექტის მიზანია აჭარის რეგიონში დაბრუნებული, პოტენციური და ეკომიგრანტებისათვის გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი ცხოვრების ღირსეული პირობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, მიგრაციისა და განვითარების საკითხების დაკავშირება და მიგრანტთა ჩართულობის დონის ამაღლება რეგიონის ეკონომიკური განვითარების პროცესებში.

„ინტელექტი“ აღნიშნული პროექტის ფარგლებში ქედის სოციალურ სახლებთან სოციალური საწარმოს ჩამოყალიბებას გეგმავს. პირველი იდეები ქედელმა მიგრანტებმა უკვე გაუზიარეს „ინტელექტს“.

ქედის სოციალურ სახლში მცხოვრებმა ეკომიგრანტებმა სიახლეების შესახებ ინფორმაცია დროულად რომ მიიღონ და არაფერი გამოეპაროთ მათთვის საჭირბოროტო საკითხებზე, ამხანაგობის თავმჯდომარე მალხაზ ბერიძე ზრუნავს. მიგრანტთა საკითხებზე დაგეგმილი შეხვედრების შესახებ ინფორმაციას დროულად აწვდის მეზობლებს და „ინტელექტს“ მათ მობილიზაციაში ეხმარება. პრობლემა მხოლოდ ის არის, რომ შრომისუნარიანი მიგრანტების დიდი ნაწილი ქედის სოციალური სახლებიდან თურქეთის რესპუბლიკაშია სამუშაოდ წასული. „ნეტა ვინმე იქნებოდეს აქტიური, გააკეთებდეს კარგ საწარმოს და დაასაქმებდეს ამ სოციალურ სახლებში მცხოვრებლებს... ბევრია მონდომებული, რომ საქმე აკეთოს, გამოცდილებაც აქვთ, მაგრამ ახლა თურქეთში არიან. მოხარული ვიქნები, თუ ჩემს მეზობლებს ჩვენს ქვეყანაში დასაქმების საშუალება მიეცემათ და ოჯახის სარჩენად უცხო ქვეყანაში „შავი“ საქმის კეთება არ მოუწევთ. კაპიკების სანაცვლოდ დარში თუ ავდარში თურქეთში ჩაის და თხილს კრეფენ, ასე პურის ფულს კი შოულობენ, მაგრამ ჯანმრთელობას საფრთხის ქვეშ იგდებენ,“ – წუხს მეზობლების ყოფით მალხაზ ბერიძე.

ბერიძე თავადაც ეკომიგრანტია ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ კოკოტაურიდან. მისი კარმიდამო უკვე ცამეტი წელია დამეწყრილია. ამბობს, რომ „სახლი დგას სიკვდილთან მიახლოებული მოხუცივით, სტიქიური უბედურებისგან მრავალგზის დაბზარულ-დაღარული... შესვლა სახიფათოა, ნებისმიერ დროს შეიძლება ჩავარდეს.“ ბერიძის ექვსსულიანი ოჯახი მესამე წელია ქედის სოციალურ სახლში ცხოვრობს. ოჯახის არცერთი წევრი არ არის დასაქმებული. მათი ფულადი შემოსავალი პენსია და სახელმწიფო შემწეობაა. ფინანსები ოჯახის შესანახად არ ყოფნით, მაგრამ ამბობენ, რომ „უნდა ვიმყოფინოთ!“ მათი აზრით, კარგი იქნებოდა სოფელში მიწის დამუშავების შესაძლებლობა რომ ჰქონოდათ, „ბოსტნეულს მოვიყვანდით და ფინანსებს ცოტათი დავზოგავდით, მაგრამ სამწუხაროდ ეს შეუძლებელია. მიწა დამეწყრილია და ასეც რომ არ იყოს, ფიზიკურად ვერ შევძლებთ მუშაობას, ჯანმრთელობის გამო.“

სწორედ ჯანმრთელობის გამო არ ძალუძს მალხაზ ბერიძეს თავად ჩაერთოს პროექტში „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ და იფიქროს სოციალური საწარმოს გახსნაზე: „რომ შემეძლოს, სიამოვნებით ჩავერთვებოდი ამ პროექტში, მეც სარგებელს ვნახავდი და მეზობლებსაც დავასაქმებდი, მაგრამ სამწუხაროდ არ შემიძლია. საქმეს თუ წამოიწყებ, ბოლომდე უნდა მიიყვანო. მინდა ვინმე აღმოჩნდეს ჩვენს სამეზობლოში ისეთი, ვისაც კარგი ბიზნესიდეა ექნება, დაფინანსებას მოიპოვებს და მეზობლებს დაასაქმებს. მერე მას სხვებიც მიბაძავენ, მაგალითს გადაიღებენ და ეკომიგრანტებსაც იქნება გვეშველოს რამე.“

ირაკლი ბერიძე ქედის სოციალურ სახლში ეკომიგრანტის სტატუსით სოფელ ზესოფელიდან მოვიდა. მისი ხუთსულიანი ოჯახი უკვე მესამე წელია სოციალურ სახლში ცხოვრობს. სხვა ეკომიგრანტებისგან განსხვავებით ბერიძეები სივიწროვეზე ჩივიან. როგორც თავად ამბობენ „ვილაცამ ბინა შეგვიცვალა და ხუთ სულზე ერთი საძინებელი მოგვცეს.“

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ზესოფელში ბერიძეების სახლი 10 წლის უკან დაიმეწყრა. სახლი დაბზარულია და ნელნელა იშლება, მაგრამ ბერიძეები მიწის დამუშავებას მაინც ახერხებენ. „ჩვენს ოჯახს სოციალური დახმარება არ აქვს. არსებობისთვის სხვა საშუალებებს ვეძებთ. ვიცით, რომ სახიფათოა იქ მიწის დამუშავება, მაგრამ იძულებული ვართ ასე მოვიქცეთ, ცოტაოდენი ბოსტნეული მოგვყავს და ჩვენთვის ესეც შეღავათია,“ – აცხადებს ირაკლი ბერიძე.

ბერიძეების ოჯახი ეკომიგრანტთა იმ იშვიათ ჯგუფს მიეკუთვნება, რომელსაც აქვს საშუალება მშობლიურ ქვეყანაში იყოს დასაქმებული. იგი კომპანია „სიგარას“ დაცვაში მუშაობს. მართალია ხელფასი მწირი აქვს და ოჯახის საბანკო ვალდებულებებსაც არ ჰყოფნის, მაგრამ ბერიძეები მომავლის იმედს არ კარგავენ და სჯერათ არსებული მდგომარეობა მალე გაუმჯობესდება.

ბერიძეები ინტერესით გაეცნენ პროექტს „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“, რომელსაც ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ ახორციელებს. მოსწონთ, რომ ვიღაც მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას ცდილობს და ფიქრობენ, როგორ ჩაერთონ პროექტში: „აქ ბიზნესის გაკეთება შეუძლებელია, სოფელში თუ რამეს გააკეთებ... მიწაზე თხილს დარგავ და მეწყერსაც შეაჩერებ!“



პირველი ბიზნესიდეა „ინტელექტს“ ქედის მუნიციპალიტეტიდან ეკომიგრანტმა ჯუმბერ არობელიძემ წარუდგინა. სოციალურ სახლში უკვე რამდენიმე თვეა ცხოვრობს. აქ სოფელ ჯალაბაშვილებიდან მეზობლებთან ერთად მოვიდა. მიუხედავად ამისა, სოფელი ჯერჯერობით არ მიუტოვებია და მეურნეობა არ შეუჩერებია. ამბობს, რომ რვა ძროხა და ოთხი ღორი ჰყავს. ბიზნესის დაწყებას სწორედ ამ მიმართულებით აპირებს – ღორების ფერმა უნდა გააშენოს. თავისი ოთხი ღორიდან მალე თორმეტი შეემატება. თუ კი მისი იდეა „ინტელექტის“ მოწონებას დაიმსახურებს და პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში გრანტს მიიღებს, კიდევ რამდენიმე ღორს შეიძენს, ოჯახსაც შემოსავალს გაუჩენს და მეზობლებსაც დაასაქმებს.

ჯუმბერ არობელიძე რამდენიმე წელი გურიაში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ცხოვრობდა და ღორების მოვლა-მოშენებაც იქ ისწავლა. ამბობს, რომ ეს საქმე უკვე კარგად იცის და თამამად შეუძლია დაიწყოს ბიზნესი ამ მიმართულებით. გეგმა უკვე შედგენილი აქვს: ჯერ მიწა უნდა შეისყიდოს სოციალურ სახლთან ახლოს, ადგილიც შერჩეული აქვს („დამეწყრილი სოფლის იმედად ვერ ვიქნები“ - ამბობს არობელიძე); სარეალიზაციო ღორებს ადგილზე მოუვლის, ხოლო შესანახად შერჩეულებს ჰაერზეც ხშირად გაუშვებს. ჯუმბერ არობელიძემ პროდუქციის რეალიზაციისათვის ადგილობრივი ბაზარიც შეისწავლა: ღორის ხორცით ძირითადად საქორწინო დარბაზების მომარაგებას აპირებს, ნაწილს ბათუმის ცენტრალურ ბაზარში შეიტანს. თუ ბედი გაუღიმებს და ბიზნესი კარგად აეწყობა, ფერმაში 10-12 ეკომიგრანტს დაასაქმებს, ამ ეტაპზე კი თავის მცირე მეურნეობას ოჯახური ძალებით უმკლავდება.

ვიდრე ჯუმბერ არობელიძე ღორების ბიზნესის განვითარებაზე ფიქრობს, მისი მეზობელი ქალბატონები საკონდიტროს გახსნის იდეის ირგვლივ ერთიანდებიან. ამბობენ, რომ „უგემრიელესი ტკბილეულის მომზადება შეგვიძლია, ტორტების, ნამცხვრების, ფუნთუშების... საცხობი და კაფე რომ გაგვეხსნა, კარგი იქნებოდა, ჩვენც დასაქმებულები ვიქნებოდით და ოჯახშიც ორ კაპიკს შევიტანდით. თანაც ქედაში არ არებობს მსგავსი საკონდიტრო.“

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ ბიზნესიდეების განაცხადების მიღებას დღემდე აგრძელებს. ეკონომიკის ექსპერტები თითოეულ განაცხადს დეტალურად შეისწავლიან და საუკეთესო და რეალისტური იდეების ავტორებს ბიზნესგეგმის შედგენაში დაეხმარებიან. მომდევნო ეტაპი დაფინანსება იქნება.

პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში „ინტელექტი“ ჩამოაყალიბებს სოციალურ საწარმოებს, მცირე საწარმოებს, მიგრანტთა საზოგადოებრივ ორგანიზაციას, გაუწევს სამართლებრივ დახმარებას მიგრანტებს და ხელს შეუწყობს მათ პროფესიული განათლების მიღებაში.

პროექტს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.

**თუ ხარ ეკოლოგიური ან შრომითი მიგრანტი და გინდა გაიუმჯობესო ცხოვრების პირობები; თუ გინდა იცხოვრო დამოუკიდებლად, სახელმწიფო შემწეობის გარეშე, პროექტი „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ სწორედ შენთვისაა!**

**ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ გთავაზობთ:**

- პროფესიული სწავლების დაფინანსებას. დაფინანსების მინიმალური რაოდენობა – 200 ევრო, მაქსიმალური – 500 ევრო.
- მცირე ბიზნესის დაფინანსებას. დაფინანსების მინიმალური რაოდენობა – 500 ევრო, მაქსიმალური – 4 000 ევრო.
- უფასო იურიდიულ კონსულტაციას და იურიდიულ მომსახურებას, თქვენთვის საჭირო საკითხებთან დაკავშირებით.

**დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:**

**მის.:** ბათუმი, აღმაშენებლის 13, IV სართული.
**ტელ.:** (0422) 24 16 50
**მობ.:** 592 57 18 00

**აღმოაჩინე შენში შესაძლებლობა!**
**მიიღე პროფესიული განათლება!**
**დაიწყე ბიზნესი!**

ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში.
ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

ჩანართის რედაქტორი: თეონა კაკაციძე
მისამართი: ბათუმი, აღმაშენებლის 13
ტელ: 24 16 40; ფაქსი: 24 16 50
მობ: 592 57 18 00
ელფოსტა: info@intellect.org.ge
ვებგვერდი: www.intellect.org.ge